საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2486 2019 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის №90 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიეცეს წინასწარი თანხმობა, განახორციელოს 11 (თერთმეტი) ერთეული ციფრული DMR სტანდარტის ხელით სატარებელი რადიოსადგურის (მათ შორის, ერთი - რეტრანსლაციის ფუნქციით), 2 (ორი) ერთეული ციფრული DMR სტანდარტის რეტრანსლატორის, 4 (ოთხი) ერთეული მიმღებ-გადამცემი ანტენის, 2 (ორი) ერთეული აკუმულატორის, 1 (ერთი) ერთეული უკაბელო მიმღებ-გადამცემების კომპლექტისა (CPV-32200000 – რადიოტელეფონის, რადიოსატელეგრაფო, რადიო და ტელემაუწყებლობის აპარატურა) და

თანმდევი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**